

## ხელშეკრულება გაუხმაურებისა და

## კონფიდენციალობის შესახებ

ქ. თბილისი

\_\_\_\_\_ 2022წ.

წინამდებარე ხელშეკრულება გაუხმაურებისა და კონფიდენციალობის შესახებ (შემდგომში ხელშეკრულება) გაფორმებულია სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“ (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კ. ჩაჩავას ქ.N5; საიდენტიფიკაციო კოდი: 202051689, წარმოდგენილი დირექტორის, ლაშა ბაზაძის სახით, შემდგომში მოხსენიებული „კომპანია“)

და

სახელწოდება \_\_\_\_\_

იურიდიული მისამართი \_\_\_\_\_

საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_

წარმოდგენილი \_\_\_\_\_ მიერ

შემდგომში პრეტენდენტი, შორის

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა და ძალაში შევიდა \_\_\_\_\_

და ის ავალდებულებს პრეტენდენტს და მოიცავს მის ვალდებულებებს კომპანიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტისათვის მიწოდებული ინფორმაციასთან დაკავშირებით შეზღუდოს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა ამ ხელშეკრულებაში ქვემოთ გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით.

**1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

პრეტენდენტი შესაძლოა დაშვებულ იქნას კომპანიის ინფორმაციაზე, რომელიც უკავშირდება კომპანიის მიერ მომსახურების და საქონლის შესყიდვის ფასებს, პროცედურებს, მიმწოდებლებს და სხვა დაკავშირებულ საკითხებს. ყველა ინფორმაციას, რომელიც ზემოაღნიშნულ პროცესში ცნობილი გახდა პრეტენდენტისათვის ან ცნობილი გახდება მომავალში პრეტენდენტი უნდა მოეპყრას როგორც „კონფიდენციალურ ინფორმაციას“ და არ უნდა გაანდოს სხვა პირს კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

**2. კონფიდენციალური ინფორმაცია**

კონფიდენციალური ინფორმაცია შესაძლოა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) იქნას წარდგენილი წერილობითი ფორმით (დოკუმენტების დედნები და ასლები) და/ან ზეპირი ფორმით ან/და ელექტრონული ფორმით და ის მოიცავდეს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება კომპანიის მიერ მომსახურების და საქონლის შესყიდვის ფასებს, პროცედურებს, მიმწოდებლებს ან/და კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას.

**3. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა**

ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ყველა კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა იყოს და დარჩეს კომპანიის საკუთრებად და ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ უნდა იქნეს განხილული ამგვარ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე რაიმე უფლების გადაცემად. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ კონფიდენციალური ინფორმაცია საჯარო გახდება, გაენდობა მესამე პირს, ან სხვაგვარად იქნება განდობილი ამ ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევის გზით (გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა), კომპანია უფლებამოსილი იქნება გაატაროს ამკრძალავი ღონისძიებები დარღვევის აღმოფხვრის ან დარღვევის გაგრძელების წინააღმდეგ.

პრეტენდენტი ათვითცნობიერებს და აღიარებს, რომ „კონფიდენციალური ინფორმაცია“ კომპანიის მიერ გაწეული ინვესტიციების მნიშვნელოვანი დროის ძალისხმევითა და ხარჯების შედეგია, და რომ კონფიდენციალური ინფორმაცია არის ღირებული აქტივი, რომელიც ანიჭებს კომპანიას მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას. შესაბამისად პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, რომ აღნიშნულ ინფორმაციას მოეპყრობა როგორც კონფიდენციალურს და არ გაუშუქავებს მესამე პირებს კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა დაიშვება მხოლოდ პრეტენდენტის იმ თანამშრომლებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობას იღებენ პრეტენდენტის მიერ კომპანიის ტენდერში მონაწილეობისათვის აუცილებელ ღონისძიებებში ან/და განახორციელებენ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, და რომელთაც პრეტენდენტის მიმართ აქვთ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა და მისით სარგებლობის უფლება დაიშვება მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნითაც ეს ინფორმაცია გაიცა.

წინამდებარე კონფიდენციალურობის დაცვის პირობების განზრახ დარღვევის შემთხვევაში, პრეტენდენტი პასუხს აგებს კომპანიისათვის კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად მიყენებულ ყველა სახის ზიანზე (ფინანსური ზარალის ჩათვლით), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზემოხსენებულის მიუხედავად, მხარეები თანხმდებიან, რომ ინფორმაცია არ უნდა ჩაითვალოს „კონფიდენციალურ ინფორმაციად“ და პრეტენდენტი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ამგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვაზე, თუ ინფორმაცია:

- (ა) არის ან ხდება საჯაროდ ცნობილი პრეტენდენტისათვის, მისი თანამშრომლების, ოფიცრების, დირექტორების, აგენტების ან სხვათა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევის გარეშე; ან
- (ბ) დამოუკიდებლად იქნა მოპოვებული პრეტენდენტის მიერ, ამ ხელშეკრულების საფუძველზე რომელიმე „კონფიდენციალური ინფორმაციის“ გამჟღავნების გარეშე; ან
- (გ) კომპანიამ გასცა თანხმობა მის განდობასთან დაკავშირებით; ან
- (დ) ის გაცემულია სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე, ან რომელიც მოთხოვნილია კანონის მოქმედების საფუძველზე.

#### 4. ზოგადი დებულებები

წინამდებარე ხელშეკრულება გაგებული და განმარტებულ უნდა იქნას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ზემოთ მოყვანილი და შეთანხმებული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევა უნდა იმართებოდეს საქართველოს კანონმდებლობით იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მოახერხებენ შეთანხმებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ყოველი წარმომადგენელი, რომელიც ხელს აწერს ქვემოთ, ადასტურებს, რომ ის არის სათანადო წესით უფლებამოსილი მის მიერ წარმოდგენილი სუბიექტის მიერ აქ მოცემული ვალდებულებების საკისრებლად.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ყოველი მხარისათვის.

კომპანიის სახელით

---

პრეტენდენტის სახელით

---